

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

21 ნოემბერი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გელა ღვიტიძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, თენგიზ დვალისხილი, ამირან ტალახაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხს: ივანე მამფორია

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი“.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ კომისიის წევრების მხრიდან იყო შენიშვნები და მოსაზრებები.

ძირითადი შენიშვნა ითვალისწინებს თიკმლის უკმარისობით დაავადებულ პაციენტთა დახმარების თანხის მოცულობა გაიზარდოს 250 ლარამდე.

აღნიშნული შენიშვნა გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს გასათვალისწინებლად.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და თავისი შენიშვნა დააფიქსირა წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

დანართიN2

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე